ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4537507

ნომერი: AR1681571

თარიღი : 15.05.2019

გაცემის თარიღი : 12.06.2019

გაცნობის თარიღი : 12.06.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გერასიმე ხეცურიანი პ/ნ 01013002443
- თბილისი დ. წყნეთი სტალინის შეს. N 18

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს სანაპირო საინვესტიციო ჯგუფი კოდი: 202249673

ნომენკლატურა :

- სავაჭრო ცენტრი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო ობიექტი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დარეჯან შათაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: დადუნა დიზაინი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405068386

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

“დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ტერიტორიულ-სტრუქტურულ პირობებს, საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 72-ე მუხლის თანახმად, დადგენილების დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრული ტერიტორიები უნდა განვითარდეს ამ მუხლში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის ,,გ“ პუნქტის თანახმად კი, ელიავას მიმდებარე ტერიტორია დანართი 1.11-ით განსაზღვრულ არეალზე „A1“ სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია ერთიანი ხედვის ფარგლებში დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „A1“ არეალი გულისხმობს, მიწის ნაკვეთებს, რომლებიც უნდა განვითარდნენ ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმით.

ვინაიდან, ქ. თბილისში, აგლაძის ქუჩა #22-ში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.13.05.010.015) მდებარეობს დანართი 1.11-ით განსაზღვრულ „A1“ არეალში (ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია), მისი სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს 2019 წლის 15 მაისის AR1681571 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.